ტურიზმის მდგრად განვითარებაზე სწავლების გამოცდილება

ლარისა დოლიკაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (SEU)
l.dolikashvili@seu.edu.ge

ლანა მზარელუა
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
l.mzarelua@seu.edu.ge

ნინო ლეთანძე
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (SEU)
n.letandze@seu.edu.ge

აბსტრაქტი

ტურიზმის მდგრად განვითარებაზე მიმართული სწავლებების გამოცდილება წარმოადგენს აქტუალურ თემას დღევანდელ გლობალურ და ლოკალურ საგანმანათლებლო კონტექსტში. თანამედროვე სამყაროში ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიად რჩება, რაც ქმნის როგორც მნიშვნელოვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ასევე ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ მზარდ ზეწოლას. ასეთ პირობებში იზრდება მოთხოვნა ისეთი პროფესიონალების აღზრდაზე, რომელთაც ექნებათ ცოდნა, ღირებულებები და პრაქტიკული უნარები, რათა მოექცნენ ტურიზმის მდგრადი მართვის წინა ხაზზე.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზოს მდგარდი ტურიზმის კერძოდ ეკოტურიზმის სწავლებაში დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში, რაც მოიცავს როგორც თეორიული სწავლების განვითარებას, ასევე საველე სწავლების ინტეგრაციას. სპეციალური ყურადღება ეთმობა ერთ-ერთ წარმატებულ ქეისს – თბილისის ეროვნულ პარკში განხორციელებულ ინტეგრირებულ გასვლით ლექცია-პრაქტიკულს, რომლის ფარგლებშიც ტურიზმის პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობასა და საბანაკო აქტივობებში, იმუშავეს ეკოლოგიურ კონტექსტში რეალურ ამოცანებზე და განივითარეს სოციალური, ლიდერული და გარემოსდაცვითი უნარები.

მოხსენებაში გაანალიზებულია სტუდენტებზე დაფუძნებული თვისებრივი კვლევის შედეგები, რაც ცხადყოფს, რომ საველე გამოცდილებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სტუდენტთა მოტივაციის, პასუხისმგებლობისა და პროფესიული მზაობის ამაღლებაში. ასევე განხილულია მდგარდი ტურიზმის სწავლების საერთაშორისო ტენდენციები და მათი ადგილობრივი ადაპტაციის პერსპექტივები.

დასკვნის ნაწილში წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, მათ შორის – საველე სწავლების სისტემატიზაცია, პედაგოგთა გადამზადება, ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა და უნივერსიტეტ-თემი-დაცულ ტერიტორიებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

ნაშრომი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მდგრადი ტურიზმის სწავლება არ უნდა შემოიფარგლოს თეორიით – ის უნდა ეფუძნებოდეს გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ღირებულებით და კრიტიკულ აზროვნებაზე მიმართულ მიდგომებს. მხოლოდ ასე შევძლებთ შევქმნათ პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ როგორც ცოდნა, ისე რეალური უნარები მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის.

მდგრადი ეკოტურიზმი წარმოადგენს ტურიზმის ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ადგილობრივი თემების ჩართულობასა და ეკონომიკური სარგებლის სამართლიან განაწილებას. მისი მიზანია მინიმალური ზეგავლენა გარემოზე და მაქსიმალური სარგებელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მდგრადი ეკოტურიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლებასთან, ეკოლოგიურ ცნობიერებასთან და იმ პრაქტიკებთან, რომლებიც გარემოს დაცვასა და გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ტურიზმი, ტურიზმის განათლება, საველე სწავლება, სტუდენტური პრაქტიკა, ეკოტურიზმი

JEL: I25; Q26; Z32

DOI: 10.52244/c2025.29

შესავალი

დღევანდელ პირობებში, როდესაც გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური კრიზისები მსოფლიო მასშტაბით დღის წესრიგშია, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ტურიზმის ინდუსტრია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მზარდი სექტორი, უშუალოდ უკავშირდება გარემოს, კულტურულ მემკვიდრეობასა და ადგილობრივ თემებს, რის გამოც მისი მდგრადი განვითარება გლობალური დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ეკოლოგიური კრიზისებისა და კლიმატის ცვლილების ფონზე, მდგრადი ეკოტურიზმი სულ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება. იგი ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების დაცვას, ადგილობრივი კულტურის პოპულარიზაციასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ეკოტურიზმი არა მხოლოდ მოგზაურობას, არამედ გარემოზე პასუხისმგებლობის აღებას და განათლებასაც მოიცავს, რაც მას მნიშვნელოვან ინსტრუმენტად აქცევს როგორც ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნების, ისე ადგილობრივი თემების გაძლიერების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი ტურიზმის კონცეფცია უკვე მყარად დამკვიდრდა საერთაშორისო დოკუმენტებსა და სტრატეგიებში (მაგ., UN SDG #12 და #13), პრაქტიკაში მისი

განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია იმ ადამიანების ცნობიერებასა და ცოდნაზე, ვინც საქმიანობს ამ სფეროში. აქედან გამომდინარე, ტურიზმის სფეროში განათლება – განსაკუთრებით კი მდგარდი განვითარების პრინციპების სწავლებაზე ორიენტირებული მიდგომები – იძენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ როლს.

საქართველოში, სადაც ტურიზმი სწრაფად მზარდ დარგად რჩება და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, აქტუალური ხდება არა მხოლოდ ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება, არამედ იმ პროფესიონალთა მომზადება, რომლებიც შეძლებენ დანერგონ მდგრადი პრაქტიკები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.

მოხსენების მიზანია გაანალიზოს მდგრადი ტურიზმის სწავლებების მიმართულებით დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება, წარმოჩინოს წარმატებული ქეისები და დაადგინოს ის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც სწავლების ეფექტურობას განსაზღვრავს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საველე სწავლების როლს — როგორც სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების, ისე მათი ღირებულებითი და სოციალური ცნობიერების ამაღლების მძლავრ საშუალებას.

განათლების ინტეგრაცია პრაქტიკასთან: საველე სწავლება თბილისის ეროვნულ პარკში

მდგრადი ტურიზმის ეფექტური სწავლება საჭიროებს თეორიული მასალის სინთეზს რეალურ გარემოსთან. ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი, რომელიც აერთიანებს გარემოსდაცვითი განათლების, ეკოტურიზმისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების ელემენტებს, წარმოადგენს თბილისის ეროვნულ პარკში ჩატარებული გასვლითი კომბინირებული ლექცია/პრაქტიკული, რომელიც სეუს ტურიზმის პროგრამის სტუდენტებისთვის განხორციელდა.

სასწავლო აქტივობის მთავარი მიზანი იყო გარე სივრცეში სწავლის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში სტუდენტებმა არა მხოლოდ თეორიული ცოდნა გააღრმავეს, არამედ შეიძინეს ისეთი უნარები, რაც ფუნდამენტურია გარემოსდაცვითი ტურიზმის სფეროში დასაქმებისთვის. როგორც ცნობილია, თანამედროვე დამსაქმებლები დიდ ყურადღებას უთმობენ კომპეტენციებს, როგორიცაა გუნდური მუშაობა, ადაპტაციის უნარი, პრობლემების გადაჭრის პრაქტიკა და სტრესულ გარემოში მოქმედების შესაძლებლობა. აღნიშნული საველე ლექცია სწორედ ამ უნარების განვითარებისკენ იყო მიმართული.

პროექტის ფარგლებში სტუდენტები ჩაერთვნენ სპეციალურად შემუშავებულ გუნდურ აქტივობებში, რომლებმაც მოითხოვა კრეატიული აზროვნება, ლიდერობის გამოვლენა და ეფექტური კომუნიკაცია. ლაშქრობა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოადგენდა ე.წ. "სწავლება თავგადასავალში" (adventure-based learning) მოდელის მაგალითს, რომლის დროსაც სტუდენტები პრაქტიკულად აკავშირებდნენ ფლორისა და ფაუნის ცოდნას ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებულ ამოცანებთან.

აქტივობები მოიცავდა:

1.**საბანაკო უნარების განვითარებას** – კარვის გაშლა/ალაგება, ტერიტორიის მოწესრიგება და ბუნებრივ პირობებში მოქმედება;

ნავიგაციის და ორიენტირების პრაქტიკას – მიმართულებების განსაზღვრა მცენარეებზე დაკვირვებით, ვარსკვლავებზე და გარემო ნიშნებზე დაფუძნებით;

2. **კვლევას-** თბილისის ეროვნული პარკის დაცულ ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების დონე და მსჯელობა დაცულ ტერიტორიათა როლზე.

3. **შეფასებას** -დაცულ ტერიტორიაზე ეკოტურიზმის პოტენციალის შეფასება ბიომრავალფეროვნების ჭრილში.
4.სტრატეგიის შემუშავებას – როგორ შეიძლება ტურისტულმა საქმიანობამ ხელი შეუწყოს ბიომრავალფეროვნების დაცვას.

5. **თეზისები წარდგენას** თემაზე: წითელი ნუსხის სახეობები, ტყის ეკოსისტემები, კლიმატის ზემოქმედება და სხვ.

6.**სპორტულ-შემეცნებითი თამაშების ჩატარებას** – რომლებიც მიმართული იყო გუნდურობის, სწრაფი ანალიზის და ფიზიკური გამძლეობის განვითარებაზე.

აღნიშნული აქტივობები ინტეგრირებული იყო კონკრეტულ საგანმანათლებლო მიზნებთან – მათ შორის, ეკოლოგიური კონცეფციების გააზრებასთან, სამეცნიერო მეთოდის გამოყენებასთან და გარემოს მონაცემების ანალიზთან.

სასწავლო პროცესი დაიწყო უსაფრთხოების საფუძვლების გაკვეთილით, რომელიც თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა. უსაფრთხოების პროტოკოლების გაცნობის შემდეგ, სტუდენტებმა იმუშავეს სალაშქრო აღჭურვილობის გამოყენებაზე, მათ შორის — გადაადგილების ტექნიკა, კვების/ჰიგიენის ორგანიზება საველე პირობებში, სამედიცინო საჭიროებების მართვა და სხვა.

აქტივობის ეფექტიანობა შეფასდა თვისებრივი კვლევის მეშვეობით — 21 მონაწილე სტუდენტზე დაფუძნებული ანალიზი ცხადყოფს, რომ საველე გამოცდილებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა:

- გამბედაობა და თავდაჯერებულობა
- ნებისყოფა და დისციპლინა
- ლიდერობა
- სოციალური და კომუნიკაციის უნარები
- **გარემოსდაცვითი ცნობიერება**
    - გარემოს დაცვის მნიშვნელობის ღრმა გააზრება
    - ბუნებრივი რესურსების სარგებლობისა და დაცვის ბალანსის ცოდნა
    - კლიმატის ცვლილებების გავლენის გაგება
- **კვლევისა და ანალიზის უნარები**

    - საველე კვლევების ჩატარება (ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემები)
    - მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი
    - გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შეფასება
- **მდგრადი განვითარების პრინციპების ცოდნა**
    - მდგრადი ტურიზმის დაგეგმვა და მართვა
    - სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტების შერწყმა გადაწყვეტილების მიღებაში
- **კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა**
    - გუნდური პროექტების მართვა საველე პრაქტიკაზე
    - ადგილობრივ თემებთან კომუნიკაცია და ჩართულობის უნარი
    - ტურისტებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდება
- **პრობლემების გადაჭრის უნარი**
    - რეალურ გარემოში გამოწვევებზე რეაგირება
- **კულტურული მგრძნობელობა და ეთიკა**
    - ადგილობრივი კულტურის პატივისცემა
- **გიდობის და ინტერპრეტაციის უნარები**
    - ვიზიტორებისთვის ინფორმაციის გასაგებად და საინტერესოდ გადაცემა
    - ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე ინტერპრეტაციის შემუშავება
    - გიდობის პრაქტიკული უნარების განვითარება.

სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საველე სწავლება არამხოლოდ პროფესიულად ამაღლებს მათ მზადყოფნას, არამედ ავითარებს კრიტიკულ სოციალურ კომპეტენციებს, რაც თანამედროვე ტურიზმის მენეჯმენტში მოთხოვნადია.

ამრიგად, მსგავსი ტიპის აქტივობები წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის სწავლებაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს, რომელიც აკადემიური პროგრამის მიღმა სტუდენტს ანიჭებს სიცოცხლისთვის აუცილებელ უნარებს და ამყარებს მის კავშირს ბუნებასთან.

მდგრადი ტურიზმის განათლება საერთაშორისო კონტექსტში

საერთაშორისო პრაქტიკაში მდგრადი ტურიზმის სწავლება დიდი ხანია დამკვიდრებულია როგორც განათლების პოლიტიკისა და პროფესიული სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილი. მრავალი წამყვანი უნივერსიტეტი და კოლეჯი მთელ მსოფლიოში მჭიდროდ თანამშრომლობს ტურისტულ ინდუსტრიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან, რათა სტუდენტებს მიაწოდოს მრავალდონიანი სწავლების სისტემური და პრაქტიკული კომპონენტები.

მაგალითად, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტი, ავსტრალიის გრიფიტის უნივერსიტეტი, კანადისა და ახალი ზელანდიის სასწავლო ცენტრები აქტიურად იყენებენ ინტეგრირებულ სწავლებას, რომელიც მოიცავს:

- ეკოტურიზმისა და კულტურული ტურიზმის მოდულებს
- საველე პრაქტიკას დაცულ ტერიტორიებზე
- სამუშაო გამოცდილებას (internship) ტურისტულ კომპანიებში
- კურსების ინტერდისციპლინურ სტრუქტურას — ეკონომიკა, გარემოს დაცვა, კულტურა

მნიშვნელოვანი ტენდენციაა ე.წ. „სწავლება ადგილობრივთან პარტნიორობით“ (place-based learning), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტი სწავლობს პირდაპირ იმ გარემოში, სადაც იმუშავებს — ადგილობრივი თემების საჭიროებების, გამოწვევების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამ მიდგომას იყენებენ ისეთ პროგრამებში, როგორიცაა UNESCO-ს მხარდაჭერილი კურიკულუმები მდგრადი ტურიზმის შესახებ, ან EU Erasmus+ Capacity Building Projects სამხრეთ კავკასიის და ბალკანეთის ქვეყნებში.

ასევე, მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება გადადის პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე (Problem-Based Learning – PBL), სადაც სტუდენტები რეალურ პრობლემებს აგვარებენ — მაგალითად, მდგრადი მენეჯმენტის მოდელის შემუშავება მცირე საოჯახო სასტუმროსთვის, ან ვიზიტორთა ნაკადის ეკოლოგიური ანალიზი დაცულ ტერიტორიაზე.

ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ მდგრადი ტურიზმის სწავლების წარმატების საფუძველი სწორედ მრავალფეროვანი, პრაქტიკაზე ორიენტირებული მიდგომებია, რომელთა მიზანია კრიტიკული აზროვნების, ღირებულებაზე დაფუძნებული ქცევის და პროფესიული კომპეტენციის განვითარება.

მდგრადი ტურიზმის სწავლების გამოცდილება საქართველოში

საქართველოში მდგრადი ტურიზმის სწავლების პრაქტიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა ბოლო წლებში მრავალი საგანმანათლებლო ინიციატივა მიემართება ამ მიმართულებით. ქვეყნის გეოგრაფიული, კულტურული და ბიომრავალფეროვნების რესურსი ქმნის საშუალებას, რომ ტურიზმის განათლებაში მდგრადი მიდგომა არა მარტო აუცილებლობა, არამედ ბუნებრივი გზა იყოს.

ამჟამად რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და პროფესიული კოლეჯი პროგრამულად ითვალისწინებს მდგრადი ტურიზმის ასპექტებს – როგორც ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში (მაგ., „ეკოტურიზმის საფუძვლები“, „ტურიზმის დაგეგმარება და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი“), ასევე პრაქტიკული სწავლების ფორმატში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია:

- საველე სწავლების ზრდა — სტუდენტების მონაწილეობა დაცულ ტერიტორიებზე, სოფლის ტურიზმის ობიექტებში, ადგილობრივ თემებთან ინტერაქცია
- მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც მდგრადი ტურიზმის პრინციპები ინტეგრირებულია კურიკულუმში
- არასამთავრობო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების როლი — GIZ, UNDP, WWF და სხვ. ხშირად მხარს უჭერენ სასწავლო პროგრამებს ამ მიმართულებით

სტუდენტური პროექტები, რომლებიც ეფუძნება თემის საჭიროებებს — მაგალითად, „გზამკვლევის შექმნა ეკოლოგიური ბილიკისთვის“, ან „ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაცია ტურისტულ მარშრუტში“ მიუხედავად პროგრესისა, კვლავ რჩება გამოწვევები, როგორებიცაა:

- სწავლისა და პრაქტიკის დაშორებულობა
- ტურიზმის მასწავლებელთა კვალიფიკაციის განსხვავებული დონე
- ინოვაციური მეთოდების ნაკლებად გამოყენება სასწავლო პროცესში
- ინფრასტრუქტურის შეზღუდულობა საველე სწავლებებისთვის

ამ კონტექსტში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და ინტეგრაცია — მაგალითად, როგორც თბილისის ეროვნული პარკში ჩატარებული პრაქტიკული სწავლება აჩვენებს, სწორი დაგეგმვის, ადგილობრივთან პარტნიორობის და შედეგზე ორიენტირებული მიდგომის პირობებში შესაძლებელი ხდება ისეთი სწავლების ორგანიზება, რომელიც პროფესიულად და პიროვნულად ამზადებს სტუდენტს მდგარი განვითარების პრინციპების მისაღებად და რეალიზებისთვის.

სწავლების შედეგები და ანალიზი

მდგრადი ტურიზმის სწავლებაში ინტეგრირებული პრაქტიკული გამოცდილებები მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტების მოტივაციას, ცოდნას და პროფესიულ მზაობას. როგორც თბილისის ეროვნული პარკის ქეისში გამოჩნდა, სტუდენტებმა შეიძინეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა ეკოლოგიური სისტემებისა და ტურიზმის ზეგავლენების შესახებ, არამედ გაიუმჯობესეს კოგნიტიური და ქცევითი უნარები, რაც მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, გუნდურ მუშაობას, ლიდერობას და გარემოსთან ფხიზელ ურთიერთობას.

21 სტუდენტზე დაფუძნებულ თვისობრივ კვლევაში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია:

- მოტივაციის ამაღლება – საველე პირობებში სწავლამ გაუღვიძა სტუდენტებს ინტერესი თემისადმი და ხელი შეუწყო საგნისადმი გაცნობიერებულ დამოკიდებულებას;
- პიროვნული ზრდა – ლაშქრობის და საველე ყოფის გამოწვევებმა განავითარა გამბედაობა, ინიციატივიანობა და ფსიქოლოგიური გამძლეობა;
- ლიდერობის პოტენციალი – მონაწილეთა უმეტესობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯგუფურ აქტივობებში სწორედ ლიდერობის უნარის გაუმჯობესება იყო ყველაზე საჭირო და შესამჩნევი შედეგი;
- სოციალური და კომუნიკაციური უნარები – გუნდში ეფექტური ფუნქციონირება, კონფლიქტის მოგვარება და მჭიდრო თანამშრომლობა განვითარდა როგორც სწავლების შემადგენელი ნაწილი.

შედეგები ცხადყოფს, რომ თეორიული სწავლების შევსება ქმედით აქტივობებთან ასოცირდება არამარტო აკადემიური შედეგების გაუმჯობესებასთან, არამედ თვითშეფასების,

თავდაჯერებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებასთანაც. მსგავსი პრაქტიკები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც მომავალში იმუშავებს ტურიზმის სფეროში, რომელიც მუდმივად მოითხოვს მოქნილობას, სტრატეგიულ აზროვნებას და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნა:

მდგრადი ტურიზმის სწავლება წარმოადგენს განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევასა და შესაძლებლობას. თანამედროვე სტანდარტები მოითხოვს მხოლოდ ცოდნის მიწოდებას კი არ ეყოს, არამედ სტუდენტის პრაქტიკული და ღირებულებითი განვითარება უზრუნველყოს. საქართველოს კონტექსტში ჯერ კიდევ მიმდინარეობს შესაბამისი სასწავლო სისტემების ჩამოყალიბება, თუმცა პირველი ნაბიჯები – საველე ლექციების, პროექტული სწავლების და პარტნიორული მოდელების დანერგვა – უკვე რეალურ სარგებელს იძლევა.

თბილისის ეროვნული პარკში განხორციელებული ინტეგრირებული სასწავლო აქტივობა წარმოადგენდა წარმატებულ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ერთდროულად განვითარდეს სტუდენტის პროფესიული, სოციალური და ემოციური კომპეტენციები. მსგავსი გამოცდილება აყალიბებს მომავლის პროფესიონალებს, რომლებიც უკეთ ესმით გარემოსდაცვითი ეთიკა, ადგილობრივთან თანამშრომლობის ღირებულება და ტურიზმის ზემოქმედების მდგრადი მართვის აუცილებლობა.

რეკომენდაციები:

- სასწავლო პროგრამებში უფრო ფართოდ უნდა ინტეგრდეს მდგრადი ტურიზმის პრინციპები;
- გარე აქტივობები უნდა გახდეს სასწავლო სტანდარტის ნაწილი, რაც გულისხმობს ყოველ სემესტრში მინიმუმ ერთ პრაქტიკულ ვიზიტს, საველე გაკვეთილს ან თემასთან ინტერაქციას.
- უნივერსიტეტებსა და პროფესიულ კოლეჯებში საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება, რათა მათ შეძლონ ინოვაციური და ინტეგრირებული მეთოდების გამოყენება.
- დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით უნდა გაძლიერდეს ინფრასტრუქტურა საველე სწავლებისთვის, მათ შორის აღჭურვილობა, ტრანსპორტი და უსაფრთხოების პირობები.
- უნდა განვითარდეს სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ეფუძნება რეალურ პრობლემებზე მუშაობას და მდგრადი განვითარების მიზნების პრინციპებს.
- აუცილებელია თანამშრომლობის გაღრმავება ეროვნულ პარკებთან, დაცულ ტერიტორიებთან და ადგილობრივ თემებთან, რათა სწავლა გახდეს პრაქტიკაზე და რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

თევდორაშვილი, მ. (2021). ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები დაცულ ტერიტორიებზე. ეკონომიკა და ბიზნესი, 2(52), 87–94.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2021). ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2022-2030. თბილისი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2023). ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2025-მდე.

შავშიშვილი, ლ. (2020). ტურიზმის მდგრადი განვითარების ასპექტები საქართველოში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და რეგიონული პოლიტიკა, 4(11), 56–66.

Butler, R. (1999). Sustainable tourism: A state-of-the-art review. Tourism Geographies, 1(1), 7–25.

European Commission (2022). Tourism Transition Pathway: Co-creating Transition Pathway for Tourism Ecosystem. Retrieved from: https://single-market-economy.ec.europa.eu

Fennell, D. A. (2020). Ecotourism (5th ed.). Routledge.

Sharpley, R. (2009). Tourism development and the environment: Beyond sustainability? Earthscan.

UNEP & UNWTO. (2005). Making Tourism More Sustainable: A Guide for Policy Makers. United Nations Environment Programme and World Tourism Organization.

UNESCO (2017). Education for Sustainable Development Goals: Learning Objectives. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization.

Weaver, D. B. (2006). Sustainable Tourism: Theory and Practice. Elsevier Butterworth-Heinemann.

WWF Caucasus (2022). Education for Nature: Practical Tools for Outdoor Learning in Protected Areas.

Zehrer, A., Siller, H., & Raich, F. (2014). Leadership in tourism higher education: Requirements and challenges. Journal of Teaching in Travel & Tourism, 14(4), 329–348.